**ხელშეკრულების №** 02-101602

ქ. თბილისი

„16“ ოქტომბერი 2012 წ.

**ხელშეკრულების დადების სამართლებრივი საფუძველი:** საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის №69 დადგენილებით დამტკიცებული „შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სახსრებით საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესი“.

**ხელშეკრულების მხარეები:** ერთის მხრივ, **შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“** (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი კვაშილავას მიერ, მეორეს მხრივ, **შპს „ალ.ლურ.ელექტრო.ავტომატი“** (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე ლურსმანაშვილის მიერ

| მუხლის № | მუხლის სათაური | მუხლის შინაარსი |
|---|---|---|
| 1. | **ხელშეკრულების საგანი** | შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებული საქონლის და მომსახურეობის ჩამონათვალი, საქონლის/მომსახურების დასახელება: №10 სამუშაო იარაღები და ხელსაწყოები, №86 კომპიუტერული ტექნიკა და აქსესუარები, №89 ინტერნეტმოდემები, №72 წყლის მრიცხველები №3 პროგრამული უზრუნველყოფა<br>ქუთაისის წყალმომარაგების სისტემაში წყლის მოხმარების ელექტრონული დაკვირვების სისტემის მოწყობა, დანართი №1-ის შესაბამისად. |
| 2. | **ხელშეკრულების ჯამური ღირებულება** | 57600 (ორმოცდაჩვიდმეტიათას ექვსასი) ლარი მოქმედი გადასახადების ჩათვლით. ერთეულის ფასი მოცემულია დანართ №1-ში. |
| 3. | **საქონლის/მომსახურების ხარისხი** | მიმწოდებელი ვალდებულია მხარეების მიერ შეთანხმებული ხარისხით, ქვეყანაში მოქმედი სტანდარტებისა და ტექნიკური ნორმების შესაბამისი საქონლის მიწოდებაზე. მიწოდებულ საქონელზე/გაწეულ მომსახურებაზე ვრცელდება საგარანტიო ვადა 1 წელი. |
| 4. | **მიწოდების ვადა** | ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 კალენდარულ დღეში. |
| 5. | **საქონლის/მომსახურების მიღების წესი** | მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს უფლებამოსილი წარმომადგენელი. |
| 6. | **მიღება-ჩაბარების აქტის რეკვიზიტები** | ხელშეკრულების ნომერი, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღი, საქონლის/მომსახურების დასახელება, მოცულობა, ღირებულება, შემსყიდველის და მიმწოდებლის და მათი წარმომადგენლების დასახელება, უფლებამოსილი პირების ხელმოწერა. |
| 7. | **საქონლის/მომსახურების მიწოდების ადგილი** | დანართი №1-ის შესაბამისად |
| 8. | **ანგარიშსწორების ვალუტა, ფორმა, გადახდის ვადა** | ლარი, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ანგარიშსწორების განსახორციელებელი ბოლო დოკუმენტის წარდგენიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.<br>მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში გამოიყენება წინასწარი ანგარიშსწორება არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 50%-ის ოდენობით შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტიის (გაცემული საბანკო დაწესებულების მიერ) საფუძველზე. |
| 9. | **ანგარიშსწორების განსახორციელებელი დოკუმენტაცია** | მიღება-ჩაბარების აქტი, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. |
| 10. | **პასუხისმგებლობა** | მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო ვალდებულების შესრულების ყოველ გადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე ხელშეკრულების შეუსრულებელი ღირებულების 0.1%. |
| 11. | **ფორსმაჟორული გარემოებები** | ომი, სტიქიური მოვლენები, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებათა მკვეთრი შემცირება და სხვა მხარეთა მიერ დაუძლეველი გარემოება. ასეთ დროს ვალდებულებათა დარღვევის გამო მხარეთა პასუხისმგებლობა გამოირიცხება. მეორე მხარეს უნდა ეცნობოს ფორს-მაჟორული გარემოების არსებობის შესახებ 5 დღის ვადაში. |
| 12. | **დავის გადაწყვეტის წესი** | მხარეთა მოლაპარაკება. მოლაპარაკების დროს მისაღები შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვა. |
| 13. | **ხელშეკრულებაში ცვლილებების/დამატებების შეტანის ფორმა** | წერილობითი. |
| 14. | **ეგზემპლარების რაოდენობა და განაწილება** | ხელშეკრულება დგება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ერთი – მიმწოდებელთან. |
| 15. | **ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის უფლებამოსილებები** | ა) პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 3%-ს ან მეტს; ბ) ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ ვალდებულების დარღვევა; გ) ფორს-მაჟორული გარემოებების გაგრძელება 15 დღის განმავლობაში; დ) ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე, არანაკლებ 10 დღით ადრე შემსყიდველის მიერ წერილობითი შეტყობინებით; ე) ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე ნებისმიერ დროს, თუ დადგება ისეთი გარემოება, რომელიც ადასტურებს, რომ მეორე მხარის მიერ ვალდებულება მომავალში ვერ შესრულდება; ვ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში. |
| 16. | **ხელშეკრულების ინსპექტირება** | ინსპექტირება შესაძლებელია განხორციელდეს შემსყიდველის მიერ, საქონლის/მომსახურების მიწოდების შემდეგ 10 დღის განმავლობაში, შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის მიერ. ინსპექტირებისას გამოვლენილ ნაკლს მიმწოდებელი გამოასწორებს საკუთარი ხარჯით. |
| 17. | **ხელშეკრულების მოქმედება** | ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2013 წლის 30 იანვრის ჩათვლით. |

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

1. შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია". ს/კ№412670097. მისამართი: ქ.თბილისი, ა.პოლიტკოვსკაიას ქ.№5; სს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ: 220101480 (LBRTGE22); ა/ა № GE77LB0113123325230012.
   წარმომადგენელი: დირექტორი ირაკლი კვაშილავა

2. შპს „ალ.ლურ.ელექტრო.ავტომატი“; ს/კ 416298857. იურიდიული მისამართი: ქ.რუსთავი, ბათუმის ქ, კორ. 20, ბ. 13. ფაქტ. მის:ქ.რუსთავი, ქუჩიშვილის ქ.№44 სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრალური ფილიალი, ბ/კ: BAGAGE22, 220101502 ა/ა GE21BG0000000617448500
   წარმომადგენელი: დირექტორი ალექსანდრე ლურსმანაშვილი

*დანართი №1*

ხელშეკრულება № 02-101602

არსებული წყალმზომების ინფორმაციის შეგროვება და გადაცემა ცენტრალურ სადიპეჩეროში GPRS სისტემის მეშვეობით. ცენტრალურ სადისპეჩეროში დამონტაჟებულ მონიტორზე გამოვა ინფორმაცია ცალკეულ უბნებზე სასმელი წყლის ხარჯის შესახებ. მოწყობილობები განლაგდება შემდეგ ობიექტებზე:

1. ფარცხანაყანების სათავე ნაგებობა — არსებულ მრიცხველზე მოდემის მონტაჟი
2. ფარხანაყანების განშტოება — არსებულ მრიცხველზე მოდემის მონტაჟი
3. მუხიანის სათავე ნაგებობა — არსებულ მრიცხველზე მოდემის მონტაჟი
4. მუხნარის რეზერვუარი — ახალი მრიცხველის და მოდემის მონტაჟი
5. ქვიტირის სატუმბი სადგური — სამ არსებულ მრიცხველზე სამი მოდემის მონტაჟი
6. საქუსლიას რეზერვუარები — ორ არსებულ მრიცხველზე მოდემის მონტაჟი
7. საქუსლიას რეზერვუარები — ორი ახალი მრიცხველის და მოდემის მონტაჟი
8. ცენტრალურ სადისპეჩეროში — მონიტორის, სერვერის და უწყვეტი კვების ბლოკის მონტაჟი

| № | საქონლის/მოსახურების დასახელება | განზ.ერთეული | რაოდ. | ერთ.ფასი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | GPRS მოდემი | ცალი | 11 | 3000 | 33000 |
| 2 | ულტრაბგერითი წყალმზომი მონტაჟით | ცალი | 3 | 6000 | 18000 |
| 3 | მონიტორი | ცალი | 1 | 1500 | 1500 |
| 4 | სერვერი | ცალი | 1 | 2500 | 2500 |
| 5 | უწყვეტი კვების ბლოკი | ცალი | 1 | 600 | 600 |
| 6 | გაწყობა გაშვებითი სამუშაოები | | | | 2000 |
| | ჯამი | | | | 57600 |

შემსყიდველი:

შპს “საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"

დირექტორი
ირაკლი კვაშილავა

მიმწოდებელი:

შპს „ალ.ლურ.ელექტრო.ავტომატი“

დირექტორი
დავით კაპანაძე